

Gocha Kuchukhidze

გოჩა კუჭუხიძე

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

One “Traveling Copy” by Geronti Kikodze’s Book
გერონტი ქიქოძის წიგნის ერთი „მოგზაური ეგზემპლარი“


DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10845>

This report deals with the book maintained at the personal library of emigrant writer, Ilia Kuchukhidze, in particular, “The National Energy” by Geronti Kikodze. The book contains the notes of young people living in 20s of the 20th century, many of which deserve particular attention, as they reveal worldview of these young people.

“The National Energy” was unacceptable for the USSR in 20s (it was regarded as a nationalist work). We can see one of the examples of how this banned book travelled between young people of that period and this shows one of the small but interesting episodes of the history of 20s.

Key Words: Geronti Kikodze, library of Ilia Kuchukhidze.

ხშირად ხდება, რომ ესა თუ ის წიგნი, მისი ერთი ეგზემპლარი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმის გამო იძენს, რომ მკითხველს თავისი კომენტარი მიუწერია წიგნის აზიაზე, ან ხაზი გაუსვია საყურადღებოდ მიჩნეული სიტყვებისთვის. ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა ეგზემპლარმა, რომელზეც გასული საუკუნის ოციანი წლების სხვადასხვა პიროვნების მინაწერებია გაკეთებული და ისტორიის ერთ მცირე, მაგრამ საინტერესო, ფურცელს შლის ჩვენს წინაშე. ეს არის გერონტი ქიქოძის ცნობილი „ეროვნული ენერჯა“; წერილების ხსენებული კრებული საბჭოთა ხელისუფლებამ არ მიიღო, რადგან ნაციონალისტური სულისკვეთების შემცველად მიიჩნია, ფაქტობრივად აკრძალული იყო იგი; წიგნი ემიგრანტი მწერლის – ილია კუჭუხიძის ბიბლიოთეკიდანაა შემორჩენილი, მისი მფლობელი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიუნხენში ცხოვრობდა, ევროპასა და ამერიკაში გამოცემულ პერიოდიკასა და ქართულ პრესაში ყოველთვის ეროვნულ კულტურას ემსახურებოდა. ქართული ემიგრაციის ისტორიის შესწავლისას, ცხადია, საინტერესოა, ემიგრანტთა ცხოვრების ის პერიოდი, სამშობლოში რომ განვლეს, ვფიქრობ, ინტერესს იმსახურებს, რა ცხოვრებით ცხოვრობდა აქ პოლიტიკური ემიგრაციის ერთი წარმომადგენელი და საილუსტრაციოდ გერონტი ქიქოძის წიგნის ეს ეგზემპლარიც გამოდგება, რომელიც მინაწერებით გაუვსიათ 20-იანი წლების მეორე ნახევარში მცხოვრებ ახალგაზრდებს.



ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო მინაწერები ეპოქის სულს ააშკარავებს, ისინი არაერთი ახალგაზრდის ყოფითი ცხოვრების დეტალებსაც წარმოგვიჩენს და ამითაც არის საინტერესო, ზოგიერთ შემთხვევაში ის იუმორი და ახალგაზრდული ხალისიც ჩანს ამ მინაწერებიდან, მათ ავტორთა ურთიერთობებს რომ ახასიათებდა.

იუმორი წიგნის პირველ გვერდზე იგრძნობა: ილია კუჭუხიძეს დაბადების მოწმობასა და პასპორტში სახელი იპოლიტე ეწერა, თუმცა ყველა ილიას, ილიკოს უძახდა; რამდენიმე ნაშრომი „პოლიო კუჭუხიძის“ სახელით გამოაქვეყნა, მაგრამ მსგავსი სახელით იშვიათად თუ ვინმე მიმართავდა. თავად რატომღაც არ მოსწონდა ის ფაქტი, რომ პასპორტში ასე ეწერა და შემდეგ ილია ჩააწერინა მასში. გერონტი ქიქოძის ამ წიგნს წინ უძღვის სიმონ ჩიქოვანის წარწერა. სიმონმა, რომელიც იმ დროს სრულიად ახალგაზრდა იყო, როგორც ჩანს, იცოდა, რომ ვერ ეგუებოდა პასპორტისეულ სახელს მისი მეგობარი და „გასაზრახებლად“ ხუმრობით სატიტულო ფურცელზე მელნით ასეთი წარწერა გაუკეთებია: „სახსოვრად ახალგაზრდა პოლიტიკურ მოაზროვნეს იპოლიტ უდაბნოელს, სიმონ ჩიქოვანისაგან“; ილია კუჭუხიძე არ აღუფრთოვანებია ამ „ფსევდონიმს“ და ფანქრით გადაუხაზავს სიტყვები – „იპოლიტ უდაბნოელს“ და დანარჩენი კი ხელუხლებლად დაუტოვებია. წარწერას თარიღი არ ახლავს. წიგნი 1919 წელს არის გამოცემული, მაგრამ წარწერა, შესაძლოა, მოგვიანებით, 1926 წელს, ან ცოტა უფრო ადრე, იყოს გაკეთებული; ეს ორი ახალგაზრდა, რამდენადაც ვიცი, 1924 წელს დამეგობრდა, ამასთან, წიგნის ერთ სხვა მინაწერზე 1926 წელია აღნიშნული და სიმონ ჩიქოვანის მიერ გაკეთებული წარწერის დათარიღებაში ამ ფაქტების გათვალისწინება გვებმარება. აქ გამომჟღავნებული მეგობრული შეხუმრების გარდა, წარწერიდან სხვაც არაერთი საინტერესო ფაქტი მჟღავნდება: ახალგაზრდა სიმონ ჩიქოვანს იმ დროს, ჩანს, მიაჩნდა, რომ ეროვნულ პრობლემებზე ფიქრი და მათზე საუბარი ეს იგივე იყო, რაც „ხმა ღაღადებისა უდაბნოსა ზედა“, რომ ეროვნული პრობლემები იმხანად უკვე აღარ აინტერესებდა მრავალს და, რადგან მეგობარი, ეროვნულ-ფედერალისტების პარტიის წევრი, ხშირად საუბრობდა ამ მრავალთათვის, სამწუხაროდ, არასაინტერესო პრობლემებზე, „უდაბნოელი“ უწოდებია ხუმრობით მისთვის; აქედან ცხადი ხდება, რომ ის ტრაგიკული მდგომარეობა იმალება იუმორს მიღმა, ხსენებულ წლებში რომ იყო შექმნილი; სახარებისეული სიტყვები: „*ხმა ღაღადებისა უდაბნოსა*“, ჩემი აზრით, შეიძლება იმგვარი მნიშვნელობითაც გავიგოთ, რომ იოანე ნათლისმცემელი უდაბნოში ქადაგებისას აცოცხლებდა ამ უდაბნოს, რომ სულიერებაჩამქრალ და სულიერად გაუდაბურებულ ადამიანებში თავისი სიტყვით სულიერ სიცოცხლეს აღვიძებდა, მაგრამ ხალხში სხვაგვარი მნიშვნელობა აქვს ამ ფრაზას მიღებული, იგი გაგებულია როგორც ლაპარაკი, რომელსაც არავინ ისმენს; ჩანს, სიმონ ჩიქოვანსაც ამ გაგებით აქვს მოყვანილი იდიომად ქცეული სახარებისეული სიტყვები და, აქედან გამომდინარე, ეს მინაწერი იმ პერიოდის განწყობილებას კარგად გვიჩვენებს, – ეროვნულ, ანუ ისეთ საკითხებზე მსჯელობა, როგორებიც გერონტი ქიქოძის „*ეროვნულ ენერჯიაშია*“ წარმოჩენილი, უდაბნოში მყოფ იოანე ნათლისმცემელთან დაკავშირებულ გამოთქმას ახსენებს სიმონს. ილია კუჭუხიძეს მეტი ოპტიმიზმი ჰქონია შერჩენილი, არ მიუღია სიმონის მიერ მოფიქრებული „ზედწოდება“, ჩანს, დარწმუნებული იყო, რომ მოისმენდნენ მის „ქადაგებებს“... ახალგაზრდები ბოლშევიკურ საქართველოში ცხოვრობენ, 1924 წლის აჯანყება მომხდარია და ეს და სხვა მინაწერები მათ გაბედულებაზეც მეტყველებს; მართალია, 1937 წლის მსგავსი დრო ჯერ არ დგას (ხსენებულ წელს ამგვარი წარწერით ასეთი წიგნის ჩუქება, შესაძლო იყო, ფატალური შედეგის მიმტანი გამხდარიყო მჭუქებლისა და ჩუქებულისთვის), მაგრამ საშიშროება მაინც დიდია და მამაც ახალგაზრდებს ვხედავთ ხსენებული მინაწერებიდან...

ნაშრომის ამ ეგზეგეტიკურში ყურადღებაშიქცეული და ხაზგასმულია ავტორის მრავალი წინადადება; მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გასაბჭოებამდე ისინი დაწერილი, წინასწარგანჭვრეტის უნარი იმდენად ძლიერი ჰქონდა გერონტი ქიქოძეს, მომავალი დროისათვისაც აქტუალურად აღიქმებოდა მისი სიტყვები; საბჭოთა პერიოდში სახელმწიფოსათვის მიუღებელ წიგნებს აღარ წერდა გერონტი ქიქოძე, გარკვეულწილად ეროვნულ „შინაგან ემიგრაციაში“ გადავიდა, მაგრამ ადრინდელი ნაწერებით მაინც ახდენდა ზემოქმედებას მომდევნო დროის მკითხველზე; ამ წიგნით თავისი დროიდან საბჭოთა დროში მცხოვრებ ადამიანებს გადასმახის იგი თითქოს და ყურად-

დებით უსმენენ და უმეტესწილად ეთანხმებიანო მას საბჭოეთში გამოკეტილი ეს ახალგაზრდები, ზოგჯერ კი ზოგიერთი მათგანი ახალგაზრული ჟინით ეკამათება კიდევ მწერალს.

გერონტი ქიქოძე წერილში „ქართულ ხუროთმოძღვრებისთვის“ გარედან შემოტანილ ისეთ კულტურას უარყოფს, ეროვნულ თავისთავადობას ზიანს რომ აყენებს: „თანამედროვე ქართველები ან მრავალ – სართულიან ყაზარმებში სცხოვრობენ ან მოუწყობელ ქობმახებში, რომელთაც აღარ შერჩენიათ ქართული ელფერი, [...] ჩვენ დღეს რუსულ-ქართულ ქარგონს ვლავარაკობთ და ჩოხა-ახალუხზე კოკარდიან ქუდს ვიხურავთ. რა გასაკვირალია, რომ ჩვენი შენობა ისევე უხასიათო იყოს, როგორცაა ჩვენი ენა, ტანსაცმელი და მიხვრამოხვრა? (ქიქოძე 1919, გვ. 209); ილია კუჭუხიძეს აქ მიუწერია: „გადაგვარების გზაზე ვდგავართ“; შემდეგ გერონტი ქიქოძე განაგრძობს: „შეიძლება თავისი განსაკუთრებული სული თბილისსაც ჰქონდეს, მაგრამ ის აღარ არის ქართული“ [...] თბილისს არ შეეფერება არც ერთფეროვანი სახაზინო სასახლე, არც ზიზილაპიპილებიანი აღმოსავლური დარბაზი, მისი არქიტექტურა უბრალო და ენერგიული უნდა იყოს როგორც ძველი ქართული შენობა“ (ქიქოძე 1919, გვ. 214) და ამ ადგილას ილია კუჭუხიძეს ასეთი წარწერა გაუკეთებია: „რეგრესული გზა“... გერონტი ქიქოძე ცოტა ზემოთ წერს: „დღევანდელმა თაობამ უფრო მომავლისთვის უნდა იზრუნოს, ვიდრე წარსულისთვის. რაც უნდა იყოს, დღეს აღარ შეგვიძლია მარტო ძველ საარქიტექტურო ნაშთების აღდგენით და ასლის გადაღებით დავკმაყოფილდეთ. ასლი ყოველთვის უფრო ცივი და უძლურია ვიდრე ორიგინალი. დატოვებული ნაშთები თავისუფალი და დამოუკიდებელი შემოქმედებისთვის უნდა გამოვიყენოთ“; შემდეგ ბანას ტაძრის შესახებ წერს ავტორი, აღნიშნავს: „ამ შენობის ზომა და ხასიათი ისეთია, რომ ის უფრო ბრწყინვალე პროცესებსა და დღესასწაულებს შეეფერება, ვიდრე წყნარ სამონასტრო მოღვაწეობას. და, მართლაც, ცნობილია, რომ იქ დიდის ზემოთ ერთმა უძლიერესმა ქართველმა მეფემ, ბაგრატ IV, დაიწერა ჯვარი“ (ქიქოძე 1919, გვ. 212); გერონტი ქიქოძე უბრალოებას ანიჭებს უპირატესობას, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ზომიერად მეფური დიდებულებაც რომ გამოაბრწყინოს ქართულმა ხუროთმოძღვრებამ, ამის უარყოფელიც არ არის; ილია კუჭუხიძეს მიაჩნია, რომ არა გადაჭარბებით, არა სულიერების დაკნინების ხარჯზე და ამქვეყნიურობის განდიდებით, არამედ სულიერებისა და უბრალოების პრიმატით ის მეფური დიდებულებაც არ უნდა დაკარგოს საქართველოს კულტურამ, რაც XII საუკუნესა და სხვა ეპოქებში უნახავს და იმ ადგილას, სადაც „მძიმე ევროპიულ სასახლეს“ მიუღებლად მიიჩნევს გერონტი ქიქოძე, ამიტომ წერს: „რეგრესული გზა“ – წერილის იმ ნაწილში ეთანხმება ავტორს, რომელშიც ნაჩვენებია, რომ ბანას ტაძარი, უბრალოებასთან ერთად, საქართველოს მეფურ დიდებულებასაც წარმოაჩენს; „საშუალო საუკუნეებში სასულიერი და საერთო არქიტექტურა, ხუროთმოძღვრება ისე გათიშული არ იყო, როგორც დღეს არის“ – წერს ავტორი (ქიქოძე 1919, გვ. 211) და აქედან ჩანს, რომ სულიერებას ანიჭებს იგი უპირატესობას, რომ ამქვეყნიურობისგან, მიწისგან მოწყვეტა არ მიაჩნია მონაზვნური ცხოვრების მოწოდებად, სულიერ წიაღებში უნდა ცხოვრობდეს მონაზონი, მაგრამ მიწიერ ქვეყანასაც ხედავდეს სულიერი სამყაროდან და იქ მცხოვრებ, წუთისოფლურ გაჭირვებაში მყოფ ადამიანებზე ლოცულობდეს; ერისა და ბერის სიახლოვე უყვარს გერონტი ქიქოძეს, რენესანსული ცნობიერების ადამიანია, თავისი ღრმად ევროპული განათლების მიუხედავად, ქართულ ხასიათთან, ესთეტიკასთან არის ახლოს, ზეცისკენ მიიღტვის და მზით, ვენახებითა და სიცოცხლით სავსე მიწასაც არ სწყდება, ისეთი ქართული საცხოვრისები მოსწონს, პირით აღმოსავლეთს რომ შეჰყურებენ და კიბე და კარიც იქითკენ რომ აქვთ მიმართული, რათა მეორედ მოსულ მაცხოვარს მიეგებონ სახლის პატრონები; მარანი წმიდა ადგილად რომ მიაჩნიათ და ზოგჯერ ცამეტი ქვევრი აქვთ მასში მაცხოვრისა და თორმეტი მოციქულის სახელზე... როცა ეს წერილი იწერებოდა, ასეთი ტრადიციებით ჯერაც შენდებოდა ქართულ სოფლებში სახლები, მაგრამ იმ მომავლის სულიც მძლავრად უტევდა ქართულ ცნობიერებას, ყოფით ცხოვრებას სულიერებისაგან მოწყვეტით რომ ემოქრებოდა, იცოდა გერონტი ქიქოძემ, ხუროთმოძღვრება ძალიან რომ ზემოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, ბავშვის ამა თუ იმ სახის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე და ამ წიგნიდან ვხედავთ, როგორ ახარებს ბოლშევიკურ საქართველოში მცხოვრები ადამიანებს გასაბჭოებამდელი დროიდან გადმოწვდენილი სიტყვები.

ესსეში „მელანქოლიური შენიშვნები“ გერონტი ქიქოძე წერს:

„ჩვენ რომელ რასას ვეკუთვნით? ეს არავინ იცის. ჩვენ არ ვართ ეთიოპები, უეჭველია. მაგრამ თეთრი კანის მიუხედავად არც ინდოევროპიელები ვართ, არც სემიტები. უდემამოთ გაჩენილ, ციდან ჩამოვარდნილ არსებას ვგავართ. ჩვენი ენა საოცრად განსხვავდება ყველა ცნობილ ენისაგან: თავისებურია მისი ლექსიკონიც, მისი სინტაქსისიც, მისი ფონეტიკაც. და ენა ხომ სულის გარეგნული სახეა: მაშასადამე თავისებურია ჩვენი ხასიათიც, ჩვენი მგრძნობიარობა და აზროვნებაც“ (ქიქოძე 1919, გვ. 155);

ახალგაზრდა ილია კუჭუხიძის მიერ ამ ადგილას მიწერილია: „საკუთარი გზით რომ მივიდოდეთ“, ანუ, ჩანს, ფიქრობს, რომ მიხვდა, რატომაც წერს ავტორი ქართველთა განსხვავებულობაზე და მიაჩნია, რომ, რადგან ყველასაგან გამორჩეულია ეს ერი, ცხოვრებაც თავისებური უნდა ჰქონდეს; 1916 წელს შექმნილ წერილში – „რკინის სალტებში“ მსოფლიო ომის შედეგად შექმნილ გერმანიის ეკონომიკურ კრიზისსა და სხვა საკითხებზე, ბოლოს კი მსოფლიო კულტურის დაცემის, სულიერების, რომანტიკის განადგურებისა და იმ საფრთხეზე საუბრობს გერონტი ქიქოძე, რაც ადამიანს უგრძნობარ მანქანასთან დამსგავსებას უქადის და გარკვეულწილად წინასწარმეტყველური სიტყვებით მიმართავს თანამედროვეებსა და მომავალში მცხოვრებ მკითხველებს: „თუ თქვენ მთვარის მოსიყვარულე ადამიანი ხართ, შეიძლება თქვენი ბედი აღბეჭდილი იყოს საბოლოოდ: ჩქარა სამუზეუმო ნივთად გახდებით [...]. ჩვენი თაობა მკაცრსა და სუსხიანს სეზონისკენ მიაბიჯებს [...]. მეოცნებე მგონები ადგილს უთმობენ მოქმედ ტექნიკოსებს. პიროვნება სახელმწიფოში ითქვიფება“ (ქიქოძე 1919, გვ. 70); საბჭოთა დროში მცხოვრებ ილია კუჭუხიძეს წერილის ბოლოს ასე მიუწერია, ამ სიტყვებით მიუმართავს 10 წლის წინათ დაწერილი წერილის ავტორისათვის: „დამწერო, გენაცვალე სულში. 12/XII, 26 წ.“, თუმც შემდეგ პირველი ორი სიტყვა გადაუშლია ალბათ – იმიტომ, რომ მის სტილს არ შეესაბამებოდა ამგვარად წერა (დიდი მწერლისათვის ასე ფაბილარულად, არაკადემიურად მიმართვა); გადამშლელი ხაზების მიღმა ფრაზის ამოკითხვა ნათელს ხდის, როგორ ყვარებია მას გერონტი ქიქოძე, – ის, ვინც სხვა მოაზროვნეებთან ერთად ხედავდა, რომ, დიდი სიკეთის გარდა, ასეთივე საშიშროების შემცველიც არის ტექნიკური პროგრესი და ეს 21-ე საუკუნეში უფრო შესამჩნევი გახდა; ხელოვნური ინტელექტი – ის, რაც მომავალში ალბათ უზადო ლექსებსა და რომანებს დაწერს, სურათებს დახატავს, ურთულეს გამოანგარიშებას შეძლებს, ფილოსოფიურ სისტემებს შექმნის და ალბათ ცოცხალივით დაუმეგობრდება ან ზოგჯერ მტრულადაც მოეკიდება ადამიანს, მანქანა, რომელსაც იქნებ სულიერი სამყაროდან გადმოსული სულიც კი ჩაუსახლდეს, შესაძლოა, ცოცხალ, „ახალ“ ადამიანად იქცეს და ღვთის მიერ შექმნილ ადამიანს გაუბატონდეს, მაგრამ, როგორი რომანტიკული სიტყვებითაც არ უნდა ალაპარაკდეს, გერონტი ქიქოძის მიერ ნახსენებ რომანტიკოსებსაც რომ აჯობოს ამ მხრივ, ნამდვილ ადამიანად ვერ იქცევა მანქანა, რადგან გული, გულისმიერი სიყვარული ვერ იქნება მასში, „ნათლის ანგელოზის“ მსგავსი სახე იქნებ მიენიჭოს ხელოვნურ ინტელექტს, მაგრამ მისგან გულიდან მომავალ სიყვარულს ვერ იგრძნობს ადამიანი; მაშინ მიხვდება იგი, რომ ღვთაებრივთან მისაახლოებლად, სულისა და გონების გარდა, გული, გულისმიერება არის აუცილებელი, განა მშობლიურ, ღვთისმშობლისმიერ სიყვარულს იგრძნობს მანქანისგან ადამიანი?.. ეს მანქანა სიყვარულით რომ გააკეთოს ადამიანმა, მთელი გული რომ ჩადოს მასში, ამას იგრძნობს, მაგრამ თავად მანქანა, ხელოვნური ინტელექტი, როგორადაც არ უნდა დაამსაგესონ იგი ცოცხალ ადამიანს, გაგრძნობინებს გულისმიერ სიყვარულს?.. ღვთისმშობლის სახეს ვერ ღებულობს ლუციფერიო, – უთქვამთ წმიდა მამებს და ეს ნათქვამი დღევანდელ პროგრესულ მიღწევებსაც შეეხება; იქნებ, როგორც ითქვა, ისეთი პროგრამაც კი ჩაიდოს ხელოვნურ ინტელექტში, ე. წ. „სუპერ რობოტში“, რომ სულეთიდან მოსულ ადამიანად იგრძნოს მან თავი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ გულისმიერი სიკეთის მქონე სული ჩასახლებულა მანქანაში და ეს ეშმაკისმიერი კი არა – ღვთისნიერი მოვლენა უფრო იქნება, ამასთან საეჭვოა, სულიერი წიაღებიდან დედამიწაზე მოვლენილმა ანგელოზებმა მანქანაში ინებონ ჩასახლება.

დავუბრუნდეთ გერონტი ქიქოძის ნაშრომს, – წიგნის ეს ეგზემპლარი საბჭოთა პერიოდში მცხოვრები ახალგაზრდების ხელიდან ხელში გადადის, ერთი მეორეს გადასცემს, მეორე მესამეს, ზოგჯერ თავიანთ აზრს წერენ აშიებზე, ძირითადად მოწონებას გამოხატავენ და საკუთარ სახელსა და გვარსაც ურთავენ მინაწერებთან; საინტერესო სურათი იხატება ამ მინაწერებიდან: ზოგი თამამად, თითქოსდა გამომწვევადაც აწერს სახელ-გვარს, ზოგი ოდნავ მოკრძალებით მხოლოდ სახელს წერს; იმხანად არსებული ტრაგიკული ვითარება ცხადად ხდება საგრძნობი ამ მინაწერებიდან, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ წიგნის წამკითხველი ახალგაზრდები (ყოველ შემთხვევაში – მათი უმეტესობა ასე იქცევა) **იმ მიზნით აწერენ თავიანთ სახელებს წიგნზე**, რათა საკუთარ თავსაც დაუმტკიცონ და ერთმანეთსაც დაანახონ, რომ არ ემინიათ სახელმწიფოსი, უშიშროების ორგანოსი, წიგნზე სახელების მიწერით ადასტურებენ, რომ მოსწონთ ეს ნაშრომი და არ დალატობენ საკუთარ მრწამსს; ზოგი იქნებ ფრთხილობს და გვარს არ წერს, თუმც ალბათ ყველამ იცის, ჩეკას რომ ჩაუვარდეს წიგნის ეს ეგზემპლარი ხელში, თუ მოინდომებს, ყველა მინაწერის ავტორის ვინაობას გაარკვევს და, რბილად რომ ვთქვათ, უსიამოვნება არ ასცდებათ ამ ახალგაზრდებს. სათაურთან წერილისა „გეოგრაფიული ოცნებები“ მიწერილია სახელი „შოთა“ (გვ. 71), შემდგომ სხვა წერილთან („ნოე ჟორდანია და სოციალიზმის ნაციონალიზაცია“), ეტყობა, მაინც არსებული შიში უფრო დაუძლეველია და გაცილებით მამაცურად გაუმხელია თავისი ვინაობა ამ ადამიანს: სახელთან „შოთა“ **მიუწერია გვარი** (გაკრული ხელით ნაწერი ფაქსიმილე ჯერ ვერ ამოვიკითხე), შემდეგ, ალბათ იმისთვის, რომ გამბედაობა კიდევ უფრო მეტად დაემტკიცებინა, ვინაობა ასე დაუზუსტებია: „**მოწაფე, ქალაქი ბათუმი**“ (გვ. 137); წიგნის 102-ე გვერდზე სხვა წამკითხველს მეტი სითამამით მიუწერია: „**კარგი წიგნია! ამ. მახ. 28/VI. 1927 წ.**“ (წარწერა ეკუთვნის შემდგომში დამსახურებულ იურისტს – ამბროსი მახარაძეს);¹ 238-ე გვერდზე კი, წერილთან – „*ბრძოლა თუ შეთანხმება*“, მიწერილია „**მახარაძე – შარაშენიძე**“, 240-ე გვერდზე ხელმოწერაა გაკეთებული – „**შარაშენიძე ალექსანდრე**“, რითაც მინაწერის ავტორი, ალბათ – ასევე ახალგაზრდა ადამიანი, აკურატულად ადასტურებს, რომ ამბროსი მახარაძისგან გადაეცა წიგნი; ნაშრომზე იკითხება იმ სხვა ახალგაზრდათა სახელები, თავიანთი სიმამაცის წარმოჩენას ასე თავგამოდებით რომ ცდილობენ: **ვანო, იაკობ**; ბოლოში ჯერაც შესამჩნევია კვალი წარწერისა: „**მადლობა რომ წიგნი მათხოვეთ**“ (აქ არ ჩანს მინაწერის ავტორი); ბოლო გვერდზე კი რუსული წარწერაა: „**Хороший**“ (ალბათ კრებულს ან ავტორს მიემართება ეს სიტყვა) და ამრიგად ვხედავთ, როგორ სტუმრობს ნაშრომის ეს ეგზემპლარი სხვადასხვა ახალგაზრდას და ამ ნაციონალისტურად მიჩნეულ წიგნზე გაბედულების დასამტკიცებლად როგორ აწერენ ხელს ფაქტობრივად თავგანწირული ახალგაზრდები და ეპოქის სული საკმაოდ ნათლად იხატება ჩვენ წინაშე.²

გერონტი ქიქოძე ერთ წერილში ძველ სოციალისტებსა და მარქსსა და ენგელსს ადარებს ერთმანეთთან: „*ის ძველები ან უწყინარი მეოცნებენი იყვნენ, ან კონსპირატორები ან კიდევ რაციონალისტები. [...] მთელი ეს სოფლმხედველობა გულუბრყვილო უტოპიით აღიარეს მარქსმა და ენგელსმა. [...] თანამედროვე საზოგადოებაში მათ აღმოაჩინეს რეალური ძალა, პროლეტარიატი ანუ მუშათა კლასი [...]. ამგვარად ძველი სოციალისტური აზროვნება შეეუღლა კლასთა ბრძოლის თეორიას*“; მარქსისტული სკოლა „*მიმართავს არა მთელს თანამედროვე ერს ან მთელს თანამედროვე საზოგადოებას განურჩევლად, არამედ ამ საზოგადოების განსაზღვრულ ნაწილს, სახელდობრ პროლეტარიატს. [...] ხალხში შედის გლეხობაც, რომელიც მარქსმა ერთს ადგილას კარტოფილის ტომარას შეადარა*“ (ქიქოძე 1919, გვ. 28-30); წერილში „*ბოლშევიკები*“ გერონტი ქიქოძე წერს: „*რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას სოციალისტური რევოლუცია მოჰყვება დასავლეთ ევროპაში, ეს სოციალისტური რევოლუცია თავის მხრივ გამოხმაურებას გამოიწვევს რუსეთში. ამ გვარად მოსალოდნელია, რომ ჩვენი თაობა მოწმე გახდება დიდი სოციალური გარდაქმნისა, რაცა ახალს სახეს მისცემს კაცობრიობას*“ (ქიქოძე 1919, გვ. 113); აქ ხაზგასმულია წერილის დაწერის თარიღი – 1917 წელი, რომ არ აღსრულდა გერონტი ქიქოძის ეს წინასწარმეტყველება, **ალბათ** ამაზეა ყურადღება გამახვილებული; რომ არა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, იქნებ ამგვარი რევოლუციები მართლაც მომხდარიყო, მაგრამ ლენინის მიერ ხელისუფლების აღებამ ძალიან შეუწყო ხელი, საერთოდ, სოციალისტური რევოლუციების იდეის გაქრობას, – არ განვითარდა მოვლენები ისე,

როგორც გერონტი ქიქოძე მოელოდა. თუმც სიკეთეს ვერც ეს რევოლუციები მოიტანდა, მით უმეტეს, თუ ტროცკისეული პერმანენტული რევოლუციებისა და ყაზარმული სოციალიზმის თეორიებს დაუკავშირდებოდა.

1918 წელს დაწერილ სტატიაში „*კატერინოფელდის გამარჯვება*“ გერონტი ქიქოძე საქართველოს მეზობელი და აგრეთვე მასში მცხოვრები ერთ-ერთი ეროვნების ადამიანთა შესახებ წერს, რომ მათ დაკარგეს „*ისტორიული ტრადიციის გრძნობა და გვარტომობის მახსოვრობა*“, რომ თავისი წარმოშობის მცოდნე ეს ადამიანი „*შეიძლება სრულიად გულწრფელად თავს ქართველ მოქალაქეთ ჰგრძნობდეს და საუკეთესო სურვილებით მიდიოდეს რესპუბლიკის ლაშქარში*“, მაგრამ საქართველოსა და ამ მეზობელ სახელმწიფოს შორის ტერიტორიებთან დაკავშირებულ ომში, საკმარისია, „*ბრძოლის ველს მიუახლოვდეს, საკმაო ათასი წლის წინათ დაშორებული თანამემამულეები დაინახოს [...], რომ ერთ წუთში სრულიად გარდაიქმნეს და [...] მომთვარულივით ჰდროს ლაშქრის მხარეზე გადავიდეს*“ (ქიქოძე 1919, გვ. 251); ილია კუჭუხიძეს ეს წინადადებები გაუხანავს და მარჯვენა აშიაზე მიუწერია „*არც ჰქმნარიტება მაინცდამაინც, მაგრამ მართალიც არის*“; ანუ, მინაწერის ავტორის თანახმად, ბრძოლის დროს ალბათ არ გადავა მოწინააღმდეგის მხარეს ამ ეროვნების ადამიანთა უმეტესობა, მაგრამ ძველ თანამემამულესთან ბრძოლას რომ ვერ შეძლებს, ესეც ცხადია და ბუნებრივიცაა, ასე რომ იყოს; ამგვარი ომი უმძიმესი ტრაგედია იქნებოდა საქართველოში მცხოვრები ამ ხალხისთვის; გერონტი ქიქოძის წერილში რომელიმე ერის მიმართ სიძულვილის მსგავსი გრძობისა არაფერია, იგი უბრალოდ იმ ფაქტებზე წერს, რაც მეზობელ ერებს შორის სამარცხვინო ომის თანამდევნი იქნება; ამავე თემასთან დაკავშირებულ საკითხებზე 1916 წელს დაწერილ სტატიაში „*ბრძოლა თუ შეთანხმება*“ გერონტი ქიქოძე ომის მოსალოდნელობის შესახებ – არა, მაგრამ ორი ერის ურთიერთობის შესახებ კი წერს, რომ საქართველომ პოლიტიკური პაექრობისას არაფერი უნდა დათმოს, რომ, როგორც იგი ბრძანებს, „*დათმობის პოლიტიკა ყველაზე ბეცი პოლიტიკაა [...]*“, რომ „*ეს ნათლად დაგვანახვა თბილისის თვითმართველობის უკანასკნელმა არჩევნებმა, რომლის დროს ბევრს ლაპარაკობდნენ დათმობასა და შეთანხმებაზე*“ (ქიქოძე 1919, გვ. 245), ილია კუჭუხიძეს წინადადება „*დათმობის პოლიტიკა ყველაზე ბეცი პოლიტიკაა*“ ხაზით გამოუყვია და აშიაზე მიუწერია: „*არაა სწორი*“, ე. ი. მიუჩნევია, რომ ურთიერთდათმობითა და ერთმანეთისათვის ანგარიშისგაწევით ბევრ სიკეთეს მიაღწევს ორივე ერი; გერონტი ქიქოძე ომის წინააღმდეგი ჩანს, საერთოდ, ძალზე გახსნილად წერს ერების ურთიერთობასა და სხვა საკითხებზე, პირდაპირობაა მისთვის ხშირ შემთხვევაში დამახასიათებელი; ზემოხსენებულ წერილში ორ ერს შორის მოსალოდნელი სამარცხვინო ომის შესახებ, როგორც ვნახეთ, აღნიშნავს: საკმარისია, საქართველოში მცხოვრებმა მეზობელი ერის წარმომადგენელმა ბრძოლის ველზე ყოფილი „*თანამემამულეები დაინახოს [...], რომ [...] მომთვარულივით ჰდროს ლაშქრის მხარეზე გადავიდეს*“, აქ კორექტურული შეცდომაა, ალბათ უნდა ეწეროს არა „*ჰდროს ლაშქრის მხარეზე*“, არამედ – მტრის „*ლაშქრის მხარეზე*“, ამ შემთხვევაში, პირდაპირობას ალბათ გარკვეულწილ მოუზომავობასთან მიუყვანია ავტორი და, ვფიქრობ, გამომცემლობის მიერ განზრახ არის კორექტურული შეცდომა დაშვებული, სიტყვა „*მტრის*“ ხსენება არ უნდა გამომცემელს; შეიძლება ასეც ითქვას, ამჯერად გამომცემლობა შედის ავტორთან ურთიერთობაში და იმდენს ბედავს, რომ კორექტურული „*შეცდომა მოსდის*“ და ასე „*არბილებს*“ ავტორის ნათქვამს.

წიგნზე სხვაც ბევრი მინაწერია. ერთგან ვაჟა-ფშაველას შესახებ მსჯელობს გერონტი ქიქოძე, ეს ის პერიოდია, როცა ვაჟას შემოქმედების შესწავლა ახალი დაწყებულია; ქიქოძის ეს წერილი უნიკალურია იმით, რომ არც ზღვარგადასული ქებაა ვაჟასი, მისი ის მხარეებიც არის მასში აღნიშნული, რაც მწერლის აზრით, ვაჟას სისუსტეა და ამავდროულად მის იმ გენიალობასაც წარმოაჩენს ავტორი, რამაც მაღალსულიერი და ფანტაზიით ძალიან მდიდარი ადამიანისა და მთის ურთიერთობისას ფართო გასაქანი პოვა; წერილში გვხვდება ასეთი ფრაზები: „*ვაჟა-ფშაველა ჩამორჩენილი ადამიანი იყო. ვერც სემინარიის კურსმა, ვერც უნივერსიტეტის ლექციებმა თანამედროვე სული ვერ ჩაუდგეს. მისი მგრძნობიარობა პრიმიტიული დარჩა, მისი ფანტაზია ველური*“; ცხადია, ეს სიტყვები დღეს ბევრს არ მოეწონება, მაგრამ, როცა წაიკითხავს ქიქოძის შემდეგ აზრს: „*მთელი მისი ბუნება უცნაურად თავისებური იყო. ის დევებსა და აღქაჯებს ჰხედავდა იქ, სადაც ჩვენ გეო-*

ლოგიურ ფორმაციებს ვხედავთ და სულიერ თვისებებს ამჩნევდა იქ, სადაც ჩვენ მხოლოდ მექანიკურ ძალთა მოძრაობა გვგონია“ (ქიქოძე 1919, გვ. 195), მაშინვე გასაგები გაუხდებდა, რომ ეს ჩამორჩენილობა თავისებურ პროგრესად მიაჩნია გერონტი ქიქოძეს, რადგან რაციონალისტი, ასე განსწავლული ადამიანი, დევებსა და ალქაჯებს ვერ დაინახავს მთაში და, თუნდ ლიტერატურულ თეორიებში ღრმად გარკვეული და ლიტერატურული წერის დიდოსტატი იყოს, ასე ცოცხლად, ასეთი ბუნებრივი ენერგიულობით ვერ ილაპარაკებს ამ ალქაჯებზე; „ვაჟა-ფშაველა არც რეალისტი იყო, უეჭველია. ამისთვის ზომა, სიფხიზლე და დაკვირვების ნიჭი აკლდა“ – წერს ავტორი (ქიქოძე 1919, გვ. 199) და ეს სიტყვები, ცხადია, საკამათოა, – რეალისტს ადამიანის ფსიქიკურ თავისებურებებზე, მის გარეგნობასა თუ ბუნებაში ხილულ ათასგვარ დეტალზე ესაჭიროება დაკვირვება, ვერ ვიტყვით, რომ ვაჟა ვერ შეძლებდა ამას, მაგრამ რეალისტი მწერალი არ ყოფილა იგი, ამგვარად წერა არ გახლდათ მისი მიზანი და ეს ფაქტი რეალისტობის ნიჭის არქონაზე არ მეტყველებს; ფილოსოფიაში რომ კარგად ერკვეოდა, ნიცშე რომ არ უყვარდა და ლიტერატურის ამა თუ იმ ჟანრის შეფასებაც არ უჭირდა, დღეს არც ეს არის საკამათო, „ალუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მასპინძელში“ პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის კონცეფცია, „გველის მჭამელში“ უღრმესი ფილოსოფიური სათქმელი განუსწავლელი პიროვნების მიერ რომ არ არის წარმოდგენილი, ეს დიდი ხანია, ცნობილია; ვაჟა-ფშაველა ღრმადია განსწავლული, მაგრამ იმაზე არ ფიქრობს, რომ ამა თუ იმ ლიტერატურულ სკოლას მიეკუთვნოს და სულ უფრო დაიხვეწოს როგორც ლიტერატორი; ასტრალურ, ზღაპრულ სამყაროში შედის და ისეთი ძალუმი სულიერი ენერგიით იხატება ეს სამყარო, ამა თუ იმ ჟანრში ვერც თავსდება მისი ნაღვანო და ალბათ ისიც გახდება გამოსაკვლევი, რომელსამე ახალ ლიტერატურულ ჟანრს ხომ არ უდებს საფუძველს... გერონტი ქიქოძე ამ წერილში წერს: ვაჟას „დაუჩლუნგდა ფორმალურ ღირებულებათა შეგნება. მას დაავიწყდა, რომ ყოველი სიტყვა წარმოადგენს არა მარტო იდეოგრაფიულს ანუ გამომხატველს, არამედ მუსიკალურ ღირებულებასაც“ (ქიქოძე 1919, გვ. 206); ილია კუჭუხიძეს აქ მიუწერია: „ი. კ. ვაჟა არ იყო თანამედროვე სიმბოლისტი“; ანუ შეკამათებია თავის საყვარელ მწერალს, ცხადყოფს, რომ ვაჟას მიზანი სიტყვის მუსიკალურ გამომსახველობაზე ზრუნვა არ ყოფილა, რომ ხშირ შემთხვევაში სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელი სურვილი არ ამოძრავებდა; მინაწერის ავტორი იმ დროს გავრცელებულ თეზასაც ეკამათება (კიტა აბაშიძის), რომლის თანახმად, ვაჟას სიმბოლისტად მიიჩნევენ...

ოცინი წლების განწყობილებაც ცოცხლდება ამ პატარა მინაწერებიდან და ერთ მცირე ჯგუფს ვხედავთ უკომპრომისო, გაბედულების წარმოჩენის სურვილის მქონე თავგამეტებული ახალგაზრდებისა. ისტორიის სურათების ცოცხლად წარმოჩენა ხშირად უმცირეს დეტალებს ძალუძს, ეპოქის სულს წარმოგვიჩენს და, ვფიქრობ, არ შევცდი, გასული საუკუნის 20-იანი წლების ახალგაზრდების ერთი მცირერიცხოვანი ჯგუფის სულისკვეთება რომ გავაცანი მკითხველს.

შენიშვნები:

1. საკითხზე პასუხს ვერ იძლევა, მაგრამ ერთი პოლიტიკოსის დასახასიათებლად მაინც საინტერესოა: მოხდა ისე, რომ მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო ამბროსი მახარაძემ ფილიპე მახარაძის რეფერენტად დაიწყო მუშაობა; ერთხელ მისგან ასეთი ამბავი მოვისმინე: თურმე რომელიღაც საბუთებზე გვიანობამდე უმუშავიათ; ფილიპე მახარაძეს დაახლოებით ასეთი სიტყვები უთქვამს: – „ამბროსი, შენ ახლა დალილი იქნები, მოდი, ერთად ვისადილოთო“; „ფილიპესთან სადილობას არ მერჩივნა, სამი დღე მშიერს მევლოო?“ – ხუმრობდა უკვე მოხუცებული ბ-ნი ამბროსი; „სადილობისას, არ ვიცი, რამ გამაბედინა და უცბად ვკითხეო; – „ფილიპე იესევიჩი, იცით, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობას გაბრალებენ?“; ფილიპეს მიუგია: „ვიცი, ამბროსი, არ არის ეგ მართალი, ილია ჭავჭავაძეს მე ვებრძოდი როგორც კლასობრივ მტერს, მაგრამ მის მკვლელობასთან არაფერი მაკავშირებსო“ (ცხადია, თავისი რეფერენტისადმი თქმული ამ სიტყვებიდან შეუძლებელია სიმართლის გაგება, მაგრამ ისტორიას მაინც შეიძლება შეენახოს ეს დიალოგი); მახსენდება სხვა მონათხრობიც, რომელიც საყოველთაოდაა ცნობილი და ზოგჯერ ჭორიც ჰგონიათ, ამ შემთხვევაში იგი იმიტომ არის საინტერესო, რომ ამბის უშუალო შემსწრის მოთხრობილია... ღიმილით (თან თითქოს ოდნავ სცხვენოდა, ადამიანს უხერხული სახით რომ წარმოაჩენდა) ასეთი ამბავი მოყვა ბ-ნმა ამბროსიმ: „ერთხელ სტალინის დედა მოვიდა ფილიპესთან და უთხრა: – ფილიპე, შენ დიდი კაცი ხარ და იქნებ მოახერხო და ჩემი შვილი თბილისში გადმოიყვანო სამუშაოდო“...

2. როგორც ითქვა, საერთოდ, პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიის შესწავლისას საინტერესოა, რატომ ხვდებოდა ესა თუ ის ადამიანი ემიგრაციაში; ილია კუჭუხიძე ტყვედ ჩავარდა ქერჩში, დარჩა ემიგრაციაში და ძირითადად მინდია ლაშაურის ფსევდონიმით დაიწყო იქ წერა, რათა ვინაობა დაემალა და თბილისში დარჩენილი ოჯახი რეპრესიისგან გადაერჩინა... საბჭოთა წყობილება რომ არ იყო მისთვის მისაღები, ეს ამ პატარა მინაწერებიდანაც ჩანს; სხვა ნაწერები საბჭოეთის მიმართ მის მეგობართა დამოკიდებულებასაც ცხადყოფს, მაგ., პირად ბიბლიოთეკაში შემონახულია ლადო გრიგოლიასადმი (ცნობილი მხატვარი, ილუსტრატორი...) ასევე 1926 წელს მიწერილი წერილი, რომელშიც ირონიით არის მოხსენიებული მარქსი, რაც ახალგაზრდა ლადო გრიგოლიას მსოფლმხედველობაზეც მეტყველებს (საყურადღებოა, რომ ლადოს ძმა მიხეილ გრიგოლიაც ემიგრაციაში წავიდა და პარიზში გარდაიცვალა)... ილია კუჭუხიძის ოჯახში არსებულ სულიერ ატმოსფეროზე, სხვა არაერთთან ერთად, ის მცირე წარწერაც მეტყველებს, „*დავით სასუნცის*“ ქართულ თარგმანზე (პავლე ინგოროყვას წინასიტყვაობა უძღვის მას) შვილისათვის რომ არის გაკეთებული და ერთგვარი ანდერძის სახეც აქვს: „*ძღვანად ჩემს ნოდარს, გიყვარდეს შენი სამშობლო. ი. კუჭუხიძე, ტფილისი, 12/1, 1940 წ.*“ ...

გამოყენებული ლიტერატურა:

ქიქოძე, გ. (1919). ეროვნული ენერგია, გრ. ცხაკაიას გამოცემა; თბილისი: „მთავრობის სტამბა“.

Referece:

Kikodze, G. (1919). Erovnuli Energia. [National Energy]. Gr. Tskhak'ais gamotsema. Tbilisi: "Mtavrobis St'amba".